



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„--05-“-----10-----“ 2017 წელი

ეგზ. № 1

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი
ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის
მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" (პროგრამის კოდი 03.00)
პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

N46/36

2017 წელი

სარჩევი

მნიშვნელოვანი შედეგები	3
რეკომენდაციები:.....	5
შესავალი ნაწილი	6
აუდიტის საგანი და სახეობა	6
აუდიტის მიზანი	7
აუდიტის მასშტაბი.....	7
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	8
აუდიტის ობიექტის აღწერა.....	9
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00).....	9
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები	11
საკრებულოს წევრების ხარჯის ანაზღაურება	11
სატრანსპორტო საშუალებები	12
წარმომადგენლობითი ხარჯები	13
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (03 00).....	14
პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა.....	16
მოსახლეობის ჩართულობა პრიორიტეტების არჩევაში	18
ინფრასტრუქტურის განვითარების სამწლიანი გეგმა.....	19
ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა.....	20
მიმწოდებლების შერჩევა ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში	20
ქალაქ ზუგდიდში გარე განათების ქსელისა და საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის სამუშაოები	21
ანდრია დადიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები	24
ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი	25
ქ. ზუგდიდში ყინულის მოედნის მოწყობის სამუშაოები	26
ანდრია დადიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	27
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები	28
ქ. ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.....	30
ქალაქ ზუგდიდში ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები	31
2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	32

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	33
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	33
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	34
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	34
საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	35
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	35
სხვა საქონელი და მომსახურება	35
აუდიტის დასკვნა.....	36
აუდიტის ანგარიშის გასაჩერების წესი	58
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	58

მნიშვნელოვანი შედეგები

- საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით დახარჯული თანხა სულ 39.4 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის, 2015 წელს - 21.7 ათას ლარს, 2016 წელს - 17.7 ათას ლარს. ანაზღაურება გაცემულია ისე, რომ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.
- 2015-2016 წლებში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობდა პირადი და სამსახურის ავტომანქანით და შესაბამისად, მათთვის განსაზღვრული იყო საწვავის ორი ლიმიტი. მერის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების მიერ გახარჯულია 13.7 ათასი ლიტრი დიზელი და 3.8 ათასი ლიტრი ბენზინი, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარისთვის - 3.6 ათასი ლიტრი ბენზინი და 11.8 ათასი ლიტრი დიზელი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც მერის მომსახურე ორივე ავტომობილში ერთსა და იმავე დროს საწვავი ჩასხმულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში სტუმრების გამასპინძლება. ჯამში 10 პერსონის გამასპინძლებაზე გაწეულია 1.2 ათასი ლარის ხარჯი. კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრის ხარჯები არ შეიძლება დაფინანსებული იყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგან მისი საქმიანობა და მოსახლეობასთან შეხვედრა არ არის უშუალოდ დაკავშირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან, მის მიზნებთან და ამოცანებთან.

- 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრების კვებით მომსახურებაზე გახარჯულია 2.6 ათასი ლარი. იქედან გამომდინარე, რომ კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირები ასრულებენ მათ სამსახურებრივ მოვალეობას, ხოლო დამატებით შესრულებული სამუშაოები ანაზღაურებადია, არ არის მიზანშეწონილი „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლიდან თანხების გამოყოფა მათი კვებითი უზრუნველყოფისათვის.
- საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, მიმწოდებელს შესაძლოა ერთი და იმავე სამუშაოს ღირებულება ჰქონდეს განსხვავებული და შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს იდენტურ სამუშაოზე დაფიქსირდეს სხვადასხვა ფასი. სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვისას, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საბოლოო ფასის მიხედვით დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა, ხოლო თითოეულ პუნქტში ერთეულის ღირებულების განსაზღვრა მისი პრეროგატივაა. მერიის სატენდერო მოთხოვნამ ერთსა და იმავე სამუშაოებზე იდენტური ფასების დაფიქსირებასთან დაკავშირებით, შეზღუდა მიმწოდებლების უფლება - დამოუკიდებლად განსაზღვრონ ერთეულის ღირებულებები. შედეგად, 2016 წელს ორ შემთხვევაში ხელშეკრულებები გაუფორმდა პრეტენდენტებს, რომელთაც კონკურენტებთან შედარებით 138.3 ათასი ლარით მეტი ფასი დააფიქსირეს.
- 2016 წლის იანვარში მოსული თოვლის გამო, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მოეხდინა ყინულის მოედნის მემბრანული გადახურვის ჩაფუშვა, რადგან პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადახურვის გათბობის სისტემამ ვერ უზრუნველყო მოსული ნალექის დადნობა და სახურავის გათავისუფლება თოვლის საფარისგან. შედეგად, დაზიანდა გადახურვის შიგნით არსებული ობიექტები და გადახურვის მასალა, რომლის აღსადგენად მერიის ბიუჯეტიდან გადახდილია 152.8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ყინულის მოედნის დაზიანება - არასწორმა დაგეგმვამ, სამუშაოების არასათანადო შესრულებამ თუ ობიექტების არასწორმა ექსპლუატაციამ. შესაბამისად, არც ღონისძიებები გაუტარებია პასუხისმგებელი პირების მიმართ.
- მერიამ 2015 წელს გააფორმა ხელშეკრულება შპს „პროგრესი-2008-სთან“ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის. აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჩიქოვანის ქუჩა N40/2-ში მდებარე

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტირებული სახურავი, რომლის შეკეთებაშიც გადახდილია 61.7 ათასი ლარი, ნაწილობრივ დაზიანებულია და წვიმის დროს წყალი აღწევს საცხოვრებელ სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზი. აუდიტის სამსახურის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მერიამ მიმწოდებელს მოსთხოვა აღნიშნული ობიექტის შეკეთება, რის შედეგადაც შემსრულებელმა 2017 წლის ივნისში მოახდინა დაზიანებული ობიექტის შეკეთება.

- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქ. ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით -124.6 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მინამაგნეზიტის ფილით შესრულებული ჭერის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 4.5 ათასი ლარი, დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზი. აუდიტის სამსახურის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მერიამ 2017 წლის ივნისში შეაკეთა არსებული დაზიანება.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა N145 ხელშეკრულება ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის. ხელშეკრულება სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებდა ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე გზის ორივე მხარეს და თეატრის ქუჩის მონაკვეთზე მილკვადრატების მოწყობას ბეტონში და მასზე ბაგირის გაჭიმვას, ღირებულებით 13.7 ათასი ლარი. ობიექტის ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ შემოღობვის სამუშაოები ნაწილობრივ დაზიანებულია.

რეკომენდაციები:

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ, აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესით, რომელიც დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე. უნდა დარეგულირდეს, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტები,

სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯები. ამასთანავე, მიზანშეწონილია, შემუშავებული წესი თავსებადი იყოს მთავრობის დადგენილებასთან.

2. მუნიციპალიტეტმა განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენას და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა - განხორციელებას, პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე.
3. მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურის სამწლიანი გეგმის შემუშავებისას, დაგეგმოს საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი კონკრეტული პროექტები, სადაც აღწერილი იქნება პროექტის დასახელება, განხორციელების ადგილი, აქტივობის ხანგრძლივობა და მისი შემდგომი განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.
4. მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვისას დანერგოს/განახორციელოს კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას იმის შესახებ, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხარვეზების გარეშე.

შესავალი ნაწილი

აუდიტის საგანი და სახეობა

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- 1) მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- 2) საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- 3) შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- 4) ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2015-2016 წლებში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების და ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამების ფარგლებში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ

კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გაწეული გადასახდელები, ჯამში 32 843.8 ათასი ლარი. ასევე, ჩატარდა მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამოების ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების

ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შეიქმნა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით¹, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 5 ადმინისტრაციულ ერთეულს, ხოლო ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ზუგდიდი.

2015-2018 წლებში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. კულტურისა და სპორტის განვითარებას.

აუდიტის ფარგლებში შემოწმდა:

- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00).
- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (03 00).

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00)²

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია 4484.5 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 20.2% შეადგენს. 2016 წელს პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა მთლიანი გადასახდელების 17,2% , ანუ 4814.2 ათასი ლარი.


¹ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება N2205-III „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“.

² წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, გარდა 01.00 პროგრამისა, დაფინანსებულია აგრეთვე თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების (02.00) პროგრამის ფარგლებში. 2015-2016 წლებში 02 00 პროგრამის გადასახდელებმა 1350.2 ათასი ლარი შეადგინა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანხა ძირითადად დახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ მერიისა და მისი სამსახურების შენახვა.
- ✓ საკრებულოს აპარატის შენახვა.
- ✓ წინა პეროდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა.

დიაგრამა №1. 2015-2016 წლებში ქვეპროგრამების მიხედვით თანხების ხარჯვა



2015 წელს მუნიციპალიტეტში სულ დასაქმებული იყო 180 თანამშრომელი, რომელთაგან 23 შტატგარეშე მოსამსახურეა. წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 2771.9 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია - 558.4 ათასი ლარი. 2016 წელს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 163 ერთეულამდე, მათ შორის, 16 შტატგარეშე თანამშრომელია. მუნიციპალიტეტში შრომის ანაზღაურების სახით წლის განმავლობაში გაიცა 3129.7 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია - 632.8 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გაწეული სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი N1. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის სხვა ხარჯები - 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

	2015	2016
მივლინებები	8,7	9,3
ოფისის ხარჯები	200,8	273,2
წარმომადგენლობითი ხარჯები	16,3	18
ტრანსპორტის, ტექნიკის, იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	141,2	155,2
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	204,3	209,2

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

საკრებულოს წევრების ხარჯის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა³. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.⁴

გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა, სულ შეადგენს 39.4 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 21.7 ათასი ლარს, 2016 წელს - 17.7 ათასი ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის დადგენილებით მიღებული აქვს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თითოეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა 500 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის აპარატი საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და ცალკეული დავალების შესრულების მიხედვით ადასტურებს საკრებულოს წევრების

³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

ხარჯების ანაზღაურებას. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ მათ არ წარმოუდგენიათ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სატრანსპორტო საშუალებები

კრიტერიუმი 1: მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დადგენილება, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში სამტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

არსებული რეკომენდაციით, 2015-2016 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 8 ავტომანქანა.

გარემოება: 2015 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 8 და იჯარით დაქირავებული 22 ერთეული ავტომანქანით. 2016 წელს მუნიციპალიტეტი სარგებლობდა საკუთარი 8 და დაქირავებული 39 ავტომანქანით. აღნიშნული ავტომანქანების ექსპლუატაციისათვის, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, 2015-2016 წლებში დახარჯულია 220.7 ათასი ლარი.

ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. აღნიშნული წესით, რომელიც

დაფუძნებული იქნება საუკეთესო პრაქტიკაზე, უნდა დარეგულირდეს, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, მათზე საწვავის გაცემის ლიმიტები, სარემონტო და სხვა მოვლა-შენახვის ხარჯები. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს მთავრობის დადგენილებასთან.

კრიტერიუმი 2: 2015-2016 წლებში გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ პირებზე შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულია საწვავის ხარჯვის თვიური ლიმიტები. მიღებული წესით კონკრეტულად არიან განსაზღვრული ის პირები, რომლებმაც უნდა ისარგებლონ გამოყოფილი საწვავით.

გარემოება: მერის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, 2015-2016 წლებში შესაბამისი ნორმატიული აქტით, დადგენილი იყო დიზელის თვიური ლიმიტი 600 ლიტრის ოდენობით და ბენზინის თვიური ლიმიტი 200 ლიტრის ოდენობით, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარისათვის - 150 ლიტრი ბენზინი და 600 ლიტრი დიზელი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე სარგებლობდნენ მათთვის გამოყოფილი ორივე სახის საწვავის ლიმიტით. დიზელის საწვავის გამოყენება ხდებოდა მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისათვის, ხოლო ბენზინის, მათ პირად საკუთრებაში არსებული ავტომობილისთვის. 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის მერის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების მიერ გახარჯულია 13.7 ათასი ლიტრი დიზელი და 3.8 ათასი ლიტრი ბენზინი, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მანქანებისათვის - 3.6 ათასი ლიტრი ბენზინი და 11.8 ათასი ლიტრი დიზელი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც მერის მომსახურე ორივე ავტომობილში ერთსა და იმავე დროს საწვავი ჩასხმულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

წარმომადგენლობითი ხარჯები

კრიტერიუმი 1: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წარმომადგენლობითი ხარჯი მოიცავს სტუმრის მიღების, წვეულებებისა და ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, ოფიციალური სადილები და ა.შ.), საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების, სუვენირების შეძენა/დამზადების, სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის, სასტუმროში მომსახურების ხარჯებს. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ სტუმრების ვიზიტის მიზანი უკავშირდებოდეს უშუალოდ მუნიციპალიტეტის საქმიანობას. აღნიშნული მუხლიდან ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, ტურისტული პოტენციალის ზრდას და სხვ.

გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა საკუთარი ბიუჯეტიდან დააფინანსა ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრების მოსახლეობასთან შეხვედრის ფარგლებში

სტუმრების გამასპინძლება. ჯამში 10 პერსონის გამასპინძლებაზე გაწეულია 1.2 ათასი ლარის ხარჯი. კონკრეტული პოლიტიკური ორგანიზაციის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრის ხარჯები არ შეიძლება დაფინანსებული იყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რადგან მისი საქმიანობა და მოსახლეობასთან შეხვედრა არ არის უშუალოდ დაკავშირებული მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან, მის მიზნებთან და ამოცანებთან.

კრიტიკუმი 2: საკონკურსო საატესტაციო კომისიის წევრებს თავიანთი უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე, ევალებათ კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრს უწევს დამატებითი ფუნქციების შესრულება, იღებს შესაბამის ანაზღაურებას. მერიის შესაბამისი ორგანოები უნდა უზრუნველყოფდნენ საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას

გარემოება: 2015-2016 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრების კვებით მომსახურებაზე გახარჯულია 2.6 ათასი ლარი. კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირები ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას, ხოლო დამატებით შესრულებული სამუშაოები, ანაზღაურებადია. შესაბამისად, არ უნდა განხორციელებულიყო „წარმომადგენლობითი ხარჯის“ მუხლიდან თანხების გამოყოფა მათი კვებით უზრუნველყოფისათვის.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (03 00)

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა ქალაქის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოებისა და სახურავების, დასასვენებელი პარკების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრში არსებული ტროტუარების კეთილმოწყობა და სხვ. ქალაქის ურბანული განვითარების ერთ - ერთ პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს გარე განათების არსებული სისტემის მოვლა - შენახვა და ქსელის გაფართოება, სანიაღვრე და წყალარინების სისტემების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.


2015 წელს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 9284.5 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი გადასახდელების 41,7% შეადგენს. 2016 წელს თანხა განისაზღვრა 14259.7 ათასი ლარით და შეადგინა მთლიანი გადასახდელების 51%.

აღნიშნული პროგრამიდან თანხები ძირითადად გახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.
- ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა.
- ✓ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.
- ✓ სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.
- ✓ საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა.
- ✓ საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.
- ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და სხვ.

აღნიშნულ ღონისძიებებზე 2015-2016 წლებში განაწილებული თანხები მოცემულია დიაგრამის სახით:

დიაგრამა 2: 03 00 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები



გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2015 წელს განხორციელდა ყინულის მოედნის მშენებლობა, თანხით - 936.6 ათასი ლარი. ასევე, ფეხბურთის სტადიონის მშენებლობისათვის 2015-2016 წლებში გამოიყო 6 656.4 ათასი ლარი.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

-) მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

-)/ სკოლებთან, ჯანდაცვის და ტურისტულ ობიექტებთან მოსახლეობის მარტივად დაკავშირების ხელშეწყობა.
-)/ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
-)/ კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი.
-)/ ქალაქის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.
-)/ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
-)/ მოსახლეობის დასვენების ადგილების გაუმჯობესება და სხვ.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შეფასების ინდიკატორებია:

-)/ რეაბილიტირებული და ახალი გზების/ხიდების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა.
-)/ გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.
-)/ განათებული ქუჩების და საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რაოდენობის ზრდა.
-)/ გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიების რაოდენობის ზრდა.
-)/ მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის N23 დადგენილებით განსაზღვრული წესით⁵. აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინებით, განსახორციელებელი პროექტების შერჩევა და დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I ეტაპი: მერიის ქალაქმშენებლობის სამსახური, არსებული პრობლემების შესწავლის გზით ახდენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ახლის მშენებლობის აუცილებლობის დასაბუთებას. სამსახური ასევე ახორციელებს პრობლემების მონაცემთა ბაზის ფორმირებას შემოსული წერილებისა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე. შესწავლის შედეგად სამსახური ადგენს წინადადებებს შესაძლო განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

⁵ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.

II ეტაპი: მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობის, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურები ქალაქის მერთან და მის მოადგილეებთან ერთად ახდენენ არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას. შედეგად, შეირჩევა ისეთი პროექტები, რომლებიც არსებული ფინანსური რესურსებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განხორციელდეს დასაგეგმი პერიოდისათვის.


III ეტაპი: შერჩეული პროექტები განსახილველად წარედგინება საკრებულოს, რომელიც აფასებს წარდგენილ პროექტებს და მოწონების შემთხვევაში, გამოსცემს განკარგულებას პროექტის განსახორციელებლად შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით.

IV ეტაპი: საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტები, რომელთა განხორციელება მუნიციპალიტეტს შეუძლია საკუთარი რესურსებით, გათვალისწინებულია შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტსა და შესყიდვების გეგმაში. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკმარისი რესურსი პროექტის განსახორციელებლად, მიმართავს სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილ საკონსულტაციო საბჭოს განსახორციელებელი პროექტების განხილვისათვის.

V ეტაპი: დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შესახებ წინადადებას ამზადებს მუნიციპალიტეტი და წერილობით მიმართავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს რეგიონალური განვითარების სამთავრობო კომისია განიხილავს პროექტებს და წინადადების შესახებ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, პროექტის დაფინანსების მიზნით, სახსრების გამოყოფაზე გასცემს რეკომენდაციას.

VI ეტაპი: შერჩეული პროექტი აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და შესაბამისად, მიმდინარე წლის შესყიდვების გეგმაში.

სქემა 1: პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვის პროცესი



განსახორციელებელი პროექტების ყოველწლიური გეგმის გარდა, მუნიციპალიტეტი ასევე ადგენს ინფრასტრუქტურის განვითარების სამწლიან სტრატეგიას, სადაც აღწერილია მომდევნო სამი წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები. სამოქმედო გეგმა წარედგინება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს, რომელიც აღნიშნულის საფუძველზე ახდენს რეგიონალური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, შერჩეული პროექტი მაქსიმალურად პასუხობდეს მოსახლეობის საჭიროებებს. შესაბამისად, სათანადოდ განხორციელებული მოსახლეობის აზრის გამოკვლევა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათი პირველი რიგის საჭიროებების გამოვლენას. მერია ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს ისე, რომ შესყიდულმა სამუშაოებმა სრულად უზრუნველყოს არსებული პრობლემების გადაწყვეტა.

მოსახლეობის ჩართულობა პრიორიტეტების არჩევაში

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში და

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელონ სათანადო ღონისძიებები. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლების პირველი რიგის საჭიროებების გამოვლენას და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ - ერთი ფორმაა საერთო კრების ჩატარება. დასახლების საერთო კრების უფლებამოსილებაა განიხილოს განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და წარადგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები.

გარემოება: ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ არსებული პრობლემების გამოკვლევას ახდენს მერიის შესაბამისი სამსახური, რაც გამოიხატება ინფრასტრუქტურული ობიექტების ადგილზე დათვალირებით და მოქალაქეებიდან შემოსული განცხადებების შესწავლით. განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად მუნიციპალიტეტს არ ჩაუტარებია დასახლების საერთო კრება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია 2015-2016 წლებში არ იყო დაყოფილი ადმინისტრაციულ ერთეულებად. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა განხორციელდა 2017 წლის 7 აპრილს.

მუნიციპალიტეტი ვერ ადასტურებს, არსებული პრაქტიკით რამდენად უზრუნველყოფს კონკრეტულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა, გამოიყენოს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენას და ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე.

ინფრასტრუქტურის განვითარების სამწლიანი გეგმა

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს N1750 განკარგულების მიხედვით, ინფრასტრუქტურის განვითარების სამწლიანი გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

-)/ პროექტის/აქტივობის დასახელება;
-)/ მოსალოდნელი შედეგი;
-)/ პროექტის/აქტივობის განხორციელების ადგილი;
-)/ პროექტის/აქტივობის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო(ებ)ი (მითითებით: სახელმწიფო ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები, დონორ(ებ)ის დაფინანსება და კერძო სექტორის დაფინანსება);
-)/ პროექტის/აქტივობის ხანგრძლივობა და პროგრესი;
-)/ პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო;
-)/ პროექტის მოკლე აღწერა/შენიშვნა.

გარემოება: 2015 წელს ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინა 2015-2017 წლების ინფრასტრუქტურული ღონისძიებების სამწლიანი გეგმა. დოკუმენტში ასახულია ბიუჯეტით გათვალისწინებული „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების ფარგლებში გასაწევი გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები. გეგმა არ მოიცავს საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი კონკრეტული პროექტების და აქტივობების დასახელებას და აღწერას. ინფრასტრუქტურის განვითარების სამწლიან გეგმაში წარმოდგენილია ინფრასტრუქტურის განვითარების დაგეგმვა საშუალოვადიან პერსპექტივაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ გეგმა იყოს კონკრეტული და დეტალურად მოიცავდეს დაგეგმილი პროექტების აღწერას. იმ შემთხვევაში, თუ მასში კონკრეტულად არ არის მითითებული განსახორციელებელი ღონისძიებები, გეგმა არ პასუხობს დასახულ მიზანს.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურის სამწლიანი გეგმის შემუშავებისას, დაგეგმოს საკუთარი სახსრებით განსახორციელებელი კონკრეტული პროექტები, სადაც აღწერილი იქნება პროექტის დასახელება, განხორციელების ადგილი, აქტივობის ხანგრძლივობა და მისი შემდგომი განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.

ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა

მიმწოდებლების შერჩევა ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში

მუნიციპალიტეტი ახორციელებს შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაცია დადგენილი მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით,

არჩევს შესყიდვის საშუალებას და იწყებს სათანადო პროცედურების ჩატარებას შესყიდვის ორგანიზებისათვის. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ტენდერის ან გამარტივებული შესყიდვის გზით. სახელმწიფო შესყიდვის ტენდერით განხორციელების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი აწესებს პირობებს, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კავშირში არ არის კონკრეტული საქონლის/სამუშაოს ხარისხთან, ღირებულებასთან და მოცულობებთან, ამავდროულად, შესაძლოა იწვევდეს კონკურენციის შეზღუდვას. კერძოდ, ყველა ტენდერში მოთხოვნილია მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში ერთნაირი ტიპის სამუშაოებზე დაფიქსირებული იყოს ერთი და იგივე ფასი, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია პერსონალის ან ფირმის ისეთი გამოცდილება, რომლის აუცილებლობაც მუნიციპალიტეტის მიერ არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

მუნიციპალიტეტში მიმწოდებლების შერჩევის პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული პირობები შესაძლებელია ხელს უშლიდეს კონკურენტული გარემოს შექმნას და მნიშვნელოვნად ზღუდავდეს პოტენციური მიმწოდებლების რიცხვს. ასევე, აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია მოხდეს დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა.

ქალაქ ზუგდიდში გარე განათების ქსელისა და საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის სამუშაოები

კრიტერიუმი: სამშენებლო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის შემთხვევაში, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის N55 დადგენილების მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ შემსყიდველ ორგანიზაციაზე, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული წესით შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას, ხოლო ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვალდებული არ არის ტენდერში ხარჯთაღრიცხვის წარდგენისას გაითვალისწინოს ამავე დადგენილების მოთხოვნები.

აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინება მიმწოდებლებისათვის სავალდებულოა მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის დროს ხარჯთაღრიცხვის შედგენისას.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვისას, პრეტენდენტები ვაჭრობის შედეგად აფიქსირებენ საბოლოო ფასს, რომლის მიხედვითაც დგება შესყიდვის ობიექტის

ხარჯთაღრიცხვა. მნიშვნელოვანია, რომ პრეტენდენტების მიერ შედგენილი დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა შეესაბამებოდეს მათ მიერ დაფიქსირებულ საბოლოო ფასს, ხოლო ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ პუნქტში დაფიქსირებული ერთეულის ღირებულებების განსაზღვრა მიმწოდებლის უფლებაა.

გარემოება 1: 2016 წლის თებერვალში ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა შესყიდვა 57 ქუჩის გარე განათების ქსელის მოწყობაზე, სავარაუდო ღირებულებით 700.7 ათასი ლარი. აღნიშნულ შესყიდვაში მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი: შპს „აკაენერჯი“, რომელმაც საბოლოო ფასად დააფიქსირა 645.5 ათასი ლარი, და შპს „ემჯი ჯგუფი“, საბოლოო თანხით - 560.6 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს შემდეგი მიზეზების გამო:

1. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, მიმწოდებელს წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში გეგმური მოგება და ზედნადები ხარჯები არ ჰქონდა დათვლილი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მიხედვით. კერძოდ, მიმწოდებელს გეგმური მოგების განსაზღვრისას, პირდაპირი ხარჯებისა და ზედნადები ხარჯების ჯამისათვის უნდა გამოეკლო მოწყობილობების ღირებულება და მასზე დაერიცხა არა უმეტეს 8%-ისა.
2. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, აუცილებელი მოთხოვნა იყო, მიმწოდებელს ხარჯთაღრიცხვაში ერთნაირი ტიპის სამუშაოებზე დაეფიქსირებინა ერთი და იგივე ფასი. შპს „ემჯი ჯგუფის“ მიერ ატვირთულ ხარჯთაღრიცხვის ზოგიერთ მუხლში ერთნაირ სამუშაოებზე დაფიქსირებული იყო სხვადასხვა ღირებულება, რამაც გამოიწვია სატენდერო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიცირება.

შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებისას, საქართველოს მთავრობის N55 დადგენილება - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“, მუნიციპალიტეტმა უნდა გამოიყენოს სავარაუდო ღირებულების გაანგარიშებისათვის, ხოლო მიმწოდებელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განსაზღვროს სავარაუდო ღირებულების ფარგლებში ზედნადები ხარჯების და გეგმური დაგროვების ნორმები. შესაბამისად, ის გარემოება, რომ მიმწოდებელს ხარჯთაღრიცხვაში გეგმური მოგების ნორმა არ ჰქონდა გაანგარიშებული აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით, არ შეიძლებოდა გამხდარიყო პრეტენდენტის დისკვალიფიცირების მიზეზი.

საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, მიმწოდებელს შესაძლოა ერთი და იმავე სამუშაოს ღირებულება ჰქონდეს განსხვავებული და შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს იდენტურ სამუშაოზე დაფიქსირდეს სხვადასხვა ფასი. სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვისას, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საბოლოო ფასის მიხედვით დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა, ხოლო თითოეულ პუნქტში ერთეულის ღირებულების განსაზღვრა მისი პრეროგატივაა. თავის მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაცია ამოწმებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ღირებულების შესაბამისობას და არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს სამუშაოების ერთეულის ფასების განსაზღვრაში.

შესაბამისად, თუ მერია სატენდერო დოკუმენტაციით ერთსა და იმავე სამუშაოებზე არ მოითხოვდა იდენტური ფასის დაფიქსირებას, ქალაქ ზუგდიდში 57 ქუჩის გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულებას გააფორმებდა შპს „ემჯი ჯგუფთან“, რომელმაც ვაჭრობის შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტზე 84.9 ათასი ლარით ნაკლები ფასი დააფიქსირა.

გარემოება 2: 2016 წლის 13 ივლისს ზუგდიდის მერიამ გამოაცხადა შესყიდვა ქალაქში კორპუსების ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით 619.4 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებული იყო ერთნაირ სამშენებლო სამუშაოებზე ან მიწოდებულ საქონელზე ხარჯთაღრიცხვის ყველა პუნქტში ერთი და იგივე ფასი დაეფიქსირებინა.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, რომელთაგან ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ბელამ“ - 566.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ მოახდინა აღნიშნული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რადგან მან ერთ-ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე ვერ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება და ხარჯთაღრიცხვაში იდენტურ სამუშაოებზე სხვადასხვა ფასი ჰქონდა დაფიქსირებული. აღნიშნულ პრეტენდენტზე ერთი ლარით მეტი ფასი დააფიქსირა შპს „კოლხიდამ“, რომელიც ტენდერიდან მოიხსნა იმის გამო, რომ ერთნაირ სამშენებლო სამუშაოებზე/საქონელზე, ხარჯთაღრიცხვის სხვადასხვა პუნქტში დაფიქსირებული ჰქონდა განსხვავებული ფასი. საბოლოოდ, მერიამ გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ხომერიკი და კომპანია“ რომლის წინადადების ღირებულება იყო 619.4 ათასი ლარი.

საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე, მიმწოდებელს შესაძლოა ერთი და იმავე სამუშაოს ღირებულება ჰქონდეს განსხვავებული და შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს იდენტურ სამუშაოზე დაფიქსირდეს სხვადასხვა ფასი. სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვისას, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საბოლოო ფასის მიხედვით დაზუსტებული

ხარჯთაღრიცხვა, ხოლო თითოეულ პუნქტში ერთეულის ღირებულების განსაზღვრა მისი პრეროგატივაა. თავის მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაცია ამოწმებს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ღირებულების შესაბამისობას და არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს სამუშაოების ერთეულის ფასების განსაზღვრაში.

მერიის სატენდერო მოთხოვნამ ერთსა და იმავე სამუშაოებზე იდენტური ფასების დაფიქსირებასთან დაკავშირებით, შეზღუდა მიმწოდებლების უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს ერთეულის ღირებულებები. შედეგად, არასათანადოდ შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოებზე მერიამ ხელშეკრულება გააფორმა იმ პრეტენდენტთან, რომლის ფასიც 84.9 ათასი ლარით აღემატებოდა კონკურენტის მიერ დაფიქსირებულ ღირებულებას. ასევე ბინების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა იმ პრეტენდენტთან, რომლის შემოთავაზებაც 53.4 ათასი ლარით უფრო ძვირი იყო კონკურენტის ფასზე.

ანდრია დადიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი თითოეული შესყიდვის განხორციელებისას სატენდერო დოკუმენტაციით მოითხოვს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი. სატენდერო მოთხოვნების მიზანია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღოს ისეთი ხარისხის სამუშაოები, რომელიც მას ჰქონდა დაგეგმილი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ პრეტენდენტების მიმართ განსაზღვრული სატენდერო მოთხოვნები უნდა გამომდინარეობდეს სამუშაოს შესრულების სირთულიდან, იყოს ობიექტური და სამართლიანი.

გამოვლენილი გარემოება: 2015 წლის მაისში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, გამოცხადდა ანდრია დადიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა, სავარუდო ღირებულებით - 250.8 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად პრეტენდენტს მოეთხოვებოდა შესაბამისი პროფილის კვალიფიციური თანამშრომლები და ასევე, პროფესიონალი მოქანდაკე. შესყიდვებში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, ი/მ ჯუმბერ ჯიქიამ, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები და ხელშეკრულება გაუფორმდა 250.8 ათას ლარზე.

ხელშეკრულების მიხედვით, დადიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები მოიცავდა:

-)/ დემონტაჟთან დაკავშირებულ სამუშაოებს;
-)/ მიწის სამუშაოებს და სანიაღვრე სისტემის მოწყობას;

-)/ წყალმომარაგებას და სარწყავ სისტემას;
-)/ ელექტრომომარაგებას და განათებას;
-)/ მოედნის კეთილმოწყობას;
-)/ მცირე არქიტექტურული ფორმის სკამებისა და მაგიდების მოწყობას.

მიმწოდებელმა სამუშაოები სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს შპს „მგმ - ს“, თანხით 222.9 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერი მტკიცებულება იმისა, თუ რატომ განისაზღვრა აუცილებელ პირობად თანამშრომელთა შორის მოქანდაკის არსებობა. სატენდერო მოთხოვნამ შესაძლოა გამოიწვია ის, რომ ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში - მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და არ მომხდარა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების შემცირება. თავის მხრივ, კონკურენტული გარემოს შექმნა ხელს უწყობს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების კლებას და შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლები იწყებენ პროექტების განხორციელებას. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ნებისმიერ დროს, რისთვისაც შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს მიწოდების ვადების, სამუშაოს მოცულობებისა და ხარისხის კონტროლს. გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საექსპერტო კვლევას, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში, ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების წარმოდგენას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმები, ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სათანადო ხარისხისა და მოცულობის სამუშაოების მიღებას. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გამოვლინდა, რომ არსებული კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს:

-)/ სათანადო ხარისხის სამუშაოების მიღებას;
-)/ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენას;
-)/ საგარანტიო ვადაში დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას.

ქ. ზუგდიდში ყინულის მოედნის მოწყობის სამუშაოები

კრიტერიუმი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების მიხედვით, კონკრეტული ობიექტის დამპროექტებელ არქიტექტორს არა აქვს უფლება განახორციელოს ამავე ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის ექსპერტის ფუნქციები⁶.

გარემოება: ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 2015 წლის 28 მაისს გამოაცხადა ტენდერი გამსახურდიას გამზირზე, N10-ში ყინულის მოედნის საბოლოო ეტაპის სამშენებლო სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით - 914.5 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „გილანი XXI“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით - 835 ათასი ლარი⁷. საბოლოოდ სამუშაოები დასრულდა 2015 წლის 18 დეკემბერს. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 816.1 ათასი ლარი.

ყინულის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგინა შპს „ზუგდიდმშენექსპერტიზამ“. შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ექსპერტიზა განახორციელა შპს „ზუგდიდექსპერტიზამ“⁸. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საბოლოოდ, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობდნენ უშუალოდ ის პირები, რომლებმაც შეადგინეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. შედეგად, დაირღვა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა და ქონების ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს ისე, რომ საკუთარი ქმდებით ან უმოქმედობით ზიანი არ მიადგეს მუნიციპალურ საკუთრებას.

გარემოება: ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყინულის მოედნის გადახურვა მოწყობილია გუმბათოვანი ფორმის ორმაგი ჰერმეტიკული მემბრანით. ყინულის მოედანი შიგნიდან აღჭურვილია გადახურვის დაცვის სპეციალური სისტემით. აღნიშნული სისტემა თოვლის მოსვლის შემთხვევაში უზრუნველყოფს გადახურვის

⁶ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 მარტის N57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, მუხლი 22.

⁷ 2015 წლის ხელშეკრულება N 112.

⁸ შპს „ზუგდიდექსპერტიზის“ დირექტორი ფლობს შპს „ზუგდიდმშენექსპერტიზის“ 30%-იან წილს.

გათბობას, რის შედეგადაც ხდება თოვლის საფარის დადნობა და სახურავის ნალექისგან გათავისუფლება.

2016 წლის იანვარში მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ყინულის მოედნის გადახურვის ჩაფუშვის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადახურვა დაფარული იყო დიდი მოცულობის თოვლით, ხოლო გათბობის სისტემამ, რომელსაც უნდა მოეხდინა ნალექის დადნობა, ვერ უზრუნველყო სახურავის სათანადოდ გათბობა და მემბრანული გადახურვის თოვლის საფარისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტმა ასევე, ვერ უზრუნველყო ნაგებობის თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება და მიიღო გადაწყვეტილება, ჩაეფუშა ყინულის მოედნის გადახურვა ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. ჩაფუშვის შედეგად დაზიანდა როგორც გადახურვის მასალა, ასევე კონსტრუქციის შიგნით არსებული ობიექტები.

2016 წლის 30 აგვისტოს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება⁹ სახურავის ჩაფუშვის შედეგად დაზიანებული ყინულის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, საერთო ღირებულებით - 154.1 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში 152.8 ათასი ლარი დაიხარჯა დაზიანებული ობიექტების აღსადგენად, ხოლო 1.3 ათასი ლარით გადახურვას დაემატა ისეთი ელემენტები, რომლებიც ამარტივებს სახურავის თოვლისგან გაწმენდას იმ შემთხვევაში, თუ შიდა გათბობის სისტემამ ვერ უზრუნველყო სახურავზე თოვლის საფარის დადნობა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ შეუძლავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ყინულის მოედნის დაზიანება: არასწორმა დაგეგმვამ, სამუშაოების არასათანადო შესრულებამ თუ ობიექტების არასწორმა ექსპლოატაციამ. შესაბამისად, არც ღონისძიებები გაუტარებია პასუხისმგებელი პირების მიმართ. მიზანშეწონილია, მერიამ შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ანდრია დადიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად. სამუშაოების მოცულობა, ღირებულება და შინაარსი შესაძლოა შეიცვალოს მხარეებს შორის სათანადო შეთანხმებით. მუნიციპალიტეტი ვალდებულია კონტროლი დააწესოს ხელშეკრულების შესრულების პროცესზე და უზრუნველყოს მიღებული საქონლის/მომსახურების ან შესრულებული სამუშაოების მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ასევე, მუნიციპალიტეტმა საქონლის/მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვის პროცესი უნდა

⁹ 2016 წლის N154 ხელშეკრულება.

განახორციელოს ისე, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯვა მოხდეს რაციონალურად და ეკონომიურად.

გარემოება: ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა 2015 წელს ხელშეკრულება გააფორმა ანდრია დადიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით 250.8 ათასი ლარი¹⁰. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბეტონის სკამები და მაგიდები უნდა მოპირკეთებულიყო ბუნებრივი გრანიტის ქვის 30 მმ სისქის ღია ნაცრისფერი ფილებით. აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად სამუშაოების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მაგიდები და სკამები მოპირკეთებულია 20 მმ სისქის ღია ნაცრისფერი ფილებით, ნაცვლად 30 მმ სისქისა. აღნიშნული სამუშაო, თანხით 5.7 ათასი ლარი, დადასტურებულია როგორც ექსპერტიზის, ასევე ინსპექტირების ჯგუფის მიერ და შესაბამისად, ანაზღაურებულია.

გარდა ამისა, ხელშეკრულების მიხედვით, მოედნის კეთილმოწყობა 150 კვ. მ-ზე უნდა განხორციელებულიყო 30 მმ სისქის ბუნებრივი გრანიტის მოწითალო ფილებით, საერთო ღირებულებით - 19.2 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში შესული ცვლილების შედეგად, ფილების სისქე შემცირდა 20 მმ-მდე. მიუხედავად ფილების სისქის შემცირებისა, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა 30 მმ სისქის ფილებისათვის განსაზღვრული თანხა - 19.2 ათასი ლარის ოდენობით. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრა მუნიციპალიტეტმა დასაგები ფილების ღირებულება და უცვლელად უნდა დარჩენილიყო თუ არა ერთეულის ფასი, ფილების სისქის შემცირების პირობებში.

მრავალასართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები

კრიტერიუმი 1: 2015 წლის 6 ოქტომბერს მუნიციპალიტეტმა N163 ხელშეკრულება გააფორმა შპს „პროგრესი 2008-სთან“. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის შესყიდვას. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა შეასრულოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დროულად და ხარისხიანად. სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს 5 წელს, რომლის განმავლობაშიც რაიმე წუხის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 7 დღეში აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებით გამოწვეული ნაკლოვანებები.

¹⁰ 2015 წლის N117 ხელშეკრულება.

გარემოება: შპს „პროგრესი-2008-სთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო ქ. ზუგდიდში, სტალინის ქუჩის N5-ში და ჩიქოვანის ქუჩის N40/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

2017 წლის 26 აპრილს აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩიქოვანის ქუჩის N40/2-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტირებული სახურავი, რომლის შეკეთებაშიც გადახდილია 61.7 ათასი ლარი, ნაწილობრივ დაზიანებულია და წვიმის დროს წყალი აღწევს საცხოვრებელ სახლებში.

სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2016 წლის 22 თებერვალს. სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს 2021 წლის 22 თებერვლამდე პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები დაზიანებული იყო აუდიტის მიმდინარეობისას, შემსყიდველს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზები.

ამრიგად 61.7 ათასი ლარის გადახურვის სამუშაოები ნაწილობრივ დაზიანებულია საგარანტიო ვადაში. მიუხედავად ამისა, გამოვლენილი ნაკლოვანებები აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის არ არის გამოსწორებული. აუდიტის სამსახურის საკითხით დაინტერესების შემდგომ, მერიამ მიმართა მიმწოდებელს აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რის შედეგადაც 2017 წლის ივნისში განხორციელდა დაზიანების შეკეთება.

სურათი N1. ჩიქოვანის ქუჩა N40/2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ნალექის ჩამოსვლის შედეგად დაზიანებული კერი



კრიტერიუმი 2: მუნიციპალიტეტსა და შპს „პროგრესი 2008-ს“ შორის 2015 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებული N163 ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული

სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ აკრედიტებული საექსპერტო ორგანიზაციის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

გარემოება: მიმწოდებელმა წარმოადგინა შპს „ოპტიმალ გრუპ“-ის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის მიხედვით, მიმწოდებელს საექსპერტო ორგანიზაციისთვის არ დაუკვეთავს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის შემოწმება. დოკუმენტში წარმოდგენილია მხოლოდ ინფორმაცია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ღირებულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ხარისხის დამადასტურებელი ექსპერტიზა, მას მაინც აუნაზღაურდა სამუშაოების ღირებულება სრულად, 138.4 ათასი ლარის ოდენობით.

ქ. ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კრიტერიუმი: 2015 წლის 29 ივლისს მუნიციპალიტეტმა N141 ხელშეკრულება გააფორმა ი/მ გოჩა ქირათელიძესთან, რომელიც ითვალისწინებდა რუსთაველის ქუჩაზე განთავსებული მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 წელს, რომლის განმავლობაშიც რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 20 დღეში აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებით გამოწვეული ნაკლოვანებები.

გარემოება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოებში გადახდილია 124.6 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მინამაგნეზიტის ფილით შესრულებული ჭერის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 4.5 ათასი ლარი, დაზიანებულია. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2015 წლის 19 ოქტომბერს, შესაბამისად, სამუშაოების საგარანტიო ვადა განისაზღვრა 2017 წლის 19 ოქტომბრამდე. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, შემსყიდველს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია გამოვლენილი ხარვეზები. აუდიტის სამსახურის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ივნისში მოახდინა არსებული დაზიანების შეკეთება.

სურათი N2. რუსთაველის ქუჩაზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები



ქალაქ ზუგდიდში ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოები

კრიტერიუმი: სამუშაოების შესყიდვისას შესრულებული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა.

ობიექტის დაზიანება შესაძლებელია გამოწვეული იყოს შესრულებული სამუშაოების უხარისხობით ან არასწორი ექსპლუატაციის (ვანდალიზმის) შედეგად. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამოსწორების მიზნით, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადას. აღნიშნულ პერიოდში შემსყიდველს შეუძლია მიმწოდებელს მოსთხოვოს ხარვეზების გამოსწორება მისივე ხარჯებით. ობიექტის არასწორი ექსპლუატაციის (ვანდალიზმის) შედეგად დაზიანების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გაატაროს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

გარემოება: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა N145 ხელშეკრულება ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის. შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს. საგარანტიო ვადის გასვლამდე რაიმე ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები. ხელშეკრულება სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებდა ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე გზის ორივე მხარეს და თეატრის

ქუჩის მონაკვეთზე მილკვადრატების მოწყობას ბეტონში და მასზე ბაგირის გაჭიმვას, ღირებულებით - 13.7 ათასი ლარი.

2017 წლის 20 აპრილს, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ტროტუარის მოწყობის სამუშაოები. დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ დაზიანებული იყო მილკვადრატებზე გაჭიმული ბაგირის სამუშაოები, რომლის შესრულებაშიც მუნიციპალიტეტს გადახდილი აქვს 13.7 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია მოსახლეობის არასათანადო მოპყრობის შედეგად.

იმ შემთხვევაში, თუ ხარვეზები გამოწვეულია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებით (ობიექტს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა), მერიას უნდა მიემართა მიმწოდებლისათვის დაზიანების გამოსწორების მიზნით, ხოლო ვანდალიზმის დადასტურების შემთხვევაში, გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად.

რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვისას დანერგოს/განახორციელოს კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას იმის შესახებ, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას ხარვეზების გარეშე.

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს - არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს - ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.
5. ანგარიშს - წმინდა ღირებულების შესახებ.

6. ანგარიშს - არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს - მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს - არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს - არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას - არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას - ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას - ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ.
13. ინფორმაციას - დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება. 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ერიცხება საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 12.5 ათასი ლარი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით¹¹, ანგარიშზე „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, აღირიცხება გადასახადებთან და საკუთრების სხვა შემოსავლებთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოკლევადიანი მოთხოვნები. მიუღებელი საიჯარო ქირა მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- 0 ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 12.5 ათასი ლარით.

მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

გარემოება. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტს 2016 წლის დასაწყისში ერიცხება მიმწოდებლებისათვის¹² ავანსის სახით გადარიცხული დებიტორული დავალიანება

¹¹ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

¹² 2015 წლის ხელშეკრულებები NN 174, 177.

989.73 ათასი ლარი, რომელიც წარმოდგენილი არ არის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) მუხლი - „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდები“, წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 989.73 ათასი ლარით.

სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები

გარემოება. სხვადასხვა პროექტის დაფინანსებისთვის ააიპ-ებზე გადარიცხულია თანხები. 2016 წლის დასაწყისში აღნიშნული თანხაა 6.98 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის ბოლოს - 19.0 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილი არ არის „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 6.98 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის შემცირებულია 19.0 ათასი ლარით.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მოხდა მათი მიღება-ჩაბარების თარიღის გადავადება მომდევნო წლისათვის. 2017 წლის 1 იანვრისათვის 182.4 ათასი ლარის¹³ ღირებულების სამუშაოები ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლისა, წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლებში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N 1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 182.4 ათასი ლარით.
- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N 1; ბალანსის დანართი ფორმა N2-1, ფორმა N5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილია 182.4 ათასი ლარით.

გარემოება 2. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 345.5 ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომელთა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ განხორციელდა ან მოხდა სამუშაოების

¹³ 2016 წელი- ხელშეკრულება N182, N189.

გადავადება, საპროექტო მომსახურების ღირებულება ნაცლად „შენობა-ნაგებობების“ მუხლისა, წარმოდგენილი უნდა იყოს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1, ბალანსის დანართი ფორმა N5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი შემცირებულია 345.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები
გარემოება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტს 2016 წლის დასაწყისში ერიცხება საქონლის/მომსახურების მიწოდებით დარიცხული კრედიტორული დავალიანება 0.21 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის ბოლოსათვის - 4.77 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 790.4 ათასი ლარით.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის დასაწყისში შემცირებულია 0.21 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის გაზრდილია 785.6 ათასი ლარით.

აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები
გარემოება. მუნიციპალიტეტს 2016 წლის დასაწყისში ერიცხება აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები 912.1 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 928.1 ათასი ლარი. აღნიშნული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლში.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის დასაწყისში შემცირებულია 912.1 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის - 928.1 ათასი ლარით.

სხვა საქონელი და მომსახურება

გარემოება 1: 2015 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი¹⁴. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2016 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი

¹⁴ საკრებულოს დადგენილება N11, 2015 წლის 6 თებერვალი.

დოკუმენტების წარდგენის გარეშე) სულ მიღებული აქვთ 17.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა N2, N3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 17.7 ათასი ლარით.

გარემოება 2: 2016 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლისგან შეისყიდა ბანერი და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, ღირებულებით - 7.4 ათასი ლარი. ბანერი, თანხით 2.1 ათასი ლარი, წარმოდგენილია „არაფინანსური აქტივის“ შესაბამის მუხლში, ხოლო „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლში“ წარმოდგენილია სრული 7.4 ათასი ლარი, ნაცვლად - 5.3 ათასი ლარისა.

გავლენა

- o ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა N2, N3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 5.3 ათასი ლარით.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა იმ შესაძლო გავლენისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“.

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: წლიური კვარტალური

ზომის ერთეული: ლარი

2016 წელი



კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღარიშო ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღარიშო უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	1257,6	435,1
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
300	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1610		
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620		
420	შენობა-ნაგებობები	2110	37245,6	31997,1
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	480,9	546,0
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	4,0	47,6
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141		6670,5
460	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	0,1	0,1
480	ფასეულობები	2300	11,1	11,0
